

## ტრენინგი შინმოვლის საკითხებზე

2013 წელს 350-მა ექთანმა და სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტმა კარიტასის ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გაიარა ტრენინგი შინმოვლის/მოვლის უნარჩვევებში. ტრენინგი ჩატარდა თბილისსა და გორში, 2014 წლისათვის კი იგეგმება ტრენინგების გაფართოება საქართველოს სხვა რეგიონებში.

„ჩვენი კოლეჯის სტუდენტებს უნიკალური შანსი მიეცათ დასწრებოდნენ საქართველოს კარიტასის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს და მიეღოთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პაციენტებისთვის სახლის პირობებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს კარიტასს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ამ საკითხში და მისი სამედიცინო პერსონალი მონდომებით უზიარებს ამ ცოდნას ჩვენს სტუდენტებს“-განაცხადა კოლეჯი „ორიენტირის“ დირექტორიმა - სოფო მაჭარაშვილიმა, ტრენინგის საზეიმო დასრულების დროს.



## HOME CARE TRAINING

In 2013 Caritas Georgia Health and Social Care program conducted training in Home Care for 350 medical students and nurses in Tbilisi and Gori.

“Our Students had an excellent opportunity to get theoretical and practical knowledge in Home Care methods. Medical staff of Caritas Georgia, which for many years has been implementing Home Care projects in Georgia, has an extensive experience in this field and is able to pass on their knowledge to others, said Mrs. Sopo Macharashvili director of the college “Orientiri” in a meeting to mark the end of training by her students.

## სამუშაო შეხვედრა ლოპოტას ტურისტულ კომპლექსში



## TEAM BUILDING IN LOPOTA



საქართველოს კარიტასი  
Caritas Georgia

## ირჩევს სიცოცხლეს Opting For life



№6

ივლისი - დეკემბერი, 2013  
July - December, 2013



## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა Health and Social Care Program

აღმოაჩინა ძველმოქმედი შენობი  
დარეკეთ ნომერზე: 0 901 500 567  
ზარის ღირებულება - 1 ლარი

თბილისი  
ქურდიანის, 3  
ტელ/Tel: (995 232) 234 76 75  
3, Kurdiani str., Tbilisi

გორი  
ნინოშვილის ქ. 89  
ტელ/Tel: (995 270) 27 49 57  
89, Ninoshvili str., Gori

ქუთაისი  
ნიუპორტის ქ.10  
ტელ/Tel: (995 231) 24 35 50  
10, Newport Srt., Kutaisi

## საშობაო სადილი და კონცერტი სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის სადღესასწაულო დარბაზში

2013 წლის 15 დეკემბერს, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასმა უმასპინძლა საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის 300 ხანდაზმულ ბენეფიციარს.

საზეიმო მუსიკალური პროგრამის, უგემრიელესი კერძებისა და საშობაო განწყობის გარდა, სტუმრებმა მიიღეს საშობაო საჩუქრები.

საქართველოს კარიტასი მადლობას უხდის შერატონის მენეჯმენტს, თანამშრომლებს, კომპანიებს და ცალკეულ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ღონისძიების ორგანიზაციაში:

- “რას ალ ჰაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია” - სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის მფლობელი კომპანია
- ტურისტული სააგენტოები: „ლიბერთი ჯორჯია“ და „ვიზიტ ჯორჯია“ - ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის
- ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელიანი ველი“ - უგემრიელესი ღვინის მოწოდებისათვის
- ქართული ხალხური ანსამბლები „ურმული“ - მუსიკალური გაფორმებისათვის
- საბავშვო ანსამბლი “თუთარჩელა” - მუსიკალური გაფორმებისათვის
- საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოების და ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ მაგიდებს და არიგებდნენ საჩუქრებს.



„ბედნიერი ვარ, რომ უკვე მეორედ მხვდა წილად ვუმასპინძლო მოხუცებულებს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში. ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების დიდი ძალისხმევითა და მხარდაჭერით, შარშანდელ წელთან შედარებით, წელს უფრო მეტ ადამიანს გვინდა ვაჩუქოთ დაუვიწყარი საღამო. ეს შესანიშნავი მაგალითია ყველა ორგანიზაციისათვის ვისაც სურს სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში მონაწილეობა“ - განაცხადა ბატონმა ანდრეას ჰაიდინგსფელდერმა - სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის გენერალურმა მენეჯერმა.



## CHRISTMAS DINNER & CONCERT FOR ELDERLY PEOPLE AT SHERATON METECHI PALACE HOTEL

On December 15, 2013 Sheraton Metechi Palace hosted 300 elderly beneficiaries of Caritas Georgia - Health and Social Care program.

Besides wonderful Christmas atmosphere, live music and dances, every person received a Christmas present.

Caritas Georgia expressed gratitude towards Sheraton Metechi Palace Management and staff and companies and people for supporting this event:

- “Ras Al Khaima Investment Authority Georgia” LLC – the owner of Sheraton Metechi Palace
- “Liberty Georgia” LTD, “Visit Georgia” LTD - for transportation service
- “Teliani Valley” – for providing wine
- Georgian Folk group “Urmuli” - music performance
- Kid’s choir “Tutarchela” - music performance
- Staff of foreign Embassies and organizations who served the tables and distributed presents.



“I am happy to have an opportunity of hosting elderly people at Sheraton Metechi Palace Hotel already second year and due to bigger interest and contribution from our partner companies, this year we are able to offer amazing day to more people in need rather than last year. This is great example of Corporate Social Responsibility Project” – stated Mr. Andreas Heidingsfelder, General Manager of Sheraton Metechi Palace Hotel.

## შესაძლებლობების განვითარების ტრენინგი საქართველოს კარიტასის სამედიცინო პერსონალისთვის

2013 წლის 20-21 სექტემბერს, ქ. წყალტუბოში საქართველოს კარიტასის შინმოვლის პროექტის თბილისის, გორის, რუსთავისა და ქუთაისის ოფისის სამედიცინო პერსონალმა მონაწილეობა მიიღო ორდღიან ტრენინგში. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები როგორცაა: „უკუკავშირი და მისი როლი ტრენინგებისათვის“ და „ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების საექთნო მოვლა“.

ტრენინგი განხორციელდა საქართველოს კარიტასის შინმოვლის პროექტის სამედიცინო პერსონალის უნარების განვითარების პროექტის ფარგლებში გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „რენოვაბისის“ ფინანსური მხარდაჭერით.

## CAPACITY BUILDING TRAINING FOR CARITAS GEORGIA HOME CARE PROJECT MEDICAL TEAM

On September 20-21, 2013 in Tskaltubo training was held for Caritas Georgia Home Care project medical staff from Tbilisi, Gori, Kutaisi and Rustavi offices. Participants of the training discussed two issues: “Feedback and its role for the trainers” and “Nurse care for TB patient”.

Training was held within the framework of the Caritas Georgia Home Care Capacity project financed by German organization “Renovabis”.



## საერთაშორისო კონგრესი გერმანიაში

2013 წლის 28 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ფრაიზინგში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „რენოვაბისის“ თაოსნობით ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „სოლიდარობა აღმოსავლეთ ევროპასთან“. კონგრესის მონაწილეები იყვნენ ევროპარლამენტის წევრები, მეცნიერები, საზოგადოებრივი მოღვაწეები. კონგრესმა განიხილა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობა და გამოუცხადა მათ სოლიდარობა.

კონგრესზე მიწვეულნი იყვნენ გერმანიის კარიტასის წარმომადგენლები გერნოტ კრაუსი, ინგებურგ ბარდენი და საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის მენეჯერი გაიოზ ყუბანეიშვილი ექსპერტების სახით, რომლებიც წაუძღვნენ სემინარს შინმოვლის საკითხებზე.



## INTERNATIONAL CONGRESS IN GERMANY

On August 28, 2013 an International Congress dedicated to solidarity issues with Eastern Europe was held in Freising, Germany. Participants of the Congress were members of the European Parliament, public figures and scientists. The Congress considered the socio-economic situation in the countries of Eastern Europe, the process of democratic transformation and adopted a declaration of solidarity.

Representatives of Caritas Germany Mr. Gernot Kraus, Mrs. I. Barden and Mr. Gaioz Kubaneishvili of Caritas Georgia were invited to the Congress to conduct a workshop on Home Care issues.